ISSN 1512-1801

კითხვის სწავლების ეფექტური მეთოდები

[1]ეკატერინე კვირკველია, [2]ირინა ჭელიძე

[1]ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

[2]ქართულ–ამერიკული უმაღლესი სკოლის პედაგოგი

რეზიუმე

გლობალიზაციის პროცესი კაცობრიობას სტიმულს აძლევს, ხელახლა იქნას გააზრებული სწავლების, აღზრდისა და განათლების მთელი სისტემის როლი და მნიშვნელობა საზოგადოების განვითარებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე ნაშრომში განხილულია და გაანალიზებულია დაწყებითი განათლების საფეხურზე კითხვის სწავლების თანამედროვე მდგომარეება. არსებული ვითარებიდან გამომდინარე წარმოდგენილია სწავლების კონკრეტული მეთოდები და სტრატეგიები, დამუშავებულია სქემები და გაკეთებულია დასკვნები, რომ მათი გამოყენება მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს დაწყებითი კლასების მოსწავლეებს:

–წაკითხულის გააზრებასა და ანალიზსში;

–ძირითადი საკომუნიკაციო უნარებისა და ლექსიკის განვითარებაში;

–მიზნობრივად და შინაარსობრივად მრავალფეროვანი ტექსტების წაკითხვასა და გააზრების უნარის ჩამოყალიბებაში;

–ზოგადი ანალიტიკური აზროვნების უნარის განვითარებაში.

დასაბუთებულია, რომ დაწყებით კლასებში განათლების დონისა და ხარისხის ამაღლება არსებითად არის დამოკიდებული სწავლების განხილული მეთოდების ეფექტიანად გამოყენებაზე.

საკვანძო სიტყვები: *განათლება, წიგნიერება, კითხვის სწავლება, სწავლების მეთოდები.*

ქვეყნაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, თანამედროვე ცივილიზებული, პროგრესული სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებისა და განვითარების მიზნით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არსებული განათლების სისტემის რადიკალურ გარდაქმნას. თავის დროზე უსვამდა რა ხაზს დიდი ილია ცოდნისა და განათლების მნიშვნელობას, იგი დამწუხრებული აღნიშნავდა, რომ „ცოდნა, სწავლა-განათლება დღევანდელ კაცისათვის არსებითი პურია. უამათოდ ადამიანი დღეს ყველაფერს მოკლებულია: ადამიანობასაც, სარჩო-საბადებელსაც, ღონესაც და შეძლებასაც.....ჩვენ გვავიწყდება, რომ ცოდნა, სწავლა-განათლება დაუშრეტელი წყაროა, როგორც კაცად მყოფობისათვის, ისეც თავის სარჩენად, ქონებისა და სარჩოს მოსაპოვებლად.“ უფრო მეტიც, ქვეყნის ჩამორჩენილობის, სიღარიბისა და განუვითარებობლის მთავარ მიზეზად იგი სწორედ ცოდნის უქონლობასა და დეფიციტს მიიჩნევს. „ტყუილი ჩივილია, ტყუილი ტირილია უფულობისა, უქონლობისა. უნდა ვტიროდეთ და ვჩიოდეთ უცოდინარობას, უვიცობას, იმიტომ რომ სათავე და მიზეზთა-მიზეზი ყოველ უბედურობისა ეგ უვიცობა, ეგ ცოდნის უქონლობაა”.

„... სხვა ვერაფერი გაუსწორებს ომს ცოდნასა, თუ არ ისევ ცოდნა, სხვა ვერაფერი გვიხსნის სიღარიბისაგან, თუ არ ის ხერხი, ის უნარი, ის ძალ-ღონე, რომელსაც მარტო ცოდნა და სწავლა-

ISSN 1512-1801

განათლება იძლევა[1]“. ამ ფრაზით ილიამ საბოლოოდ დაასკვნა, რომ სათანადო ცოდნისა და განათლების გარეშე შეუძლებელია ქვეყანაში სიღარიბის პრობლემის დამარცხება და მისი განვითარება.

დღეს გლობალიზაციის ეპოქაში კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ილიას ეს შესანიშნავი ნააზრევი. XXI საუკუნის დასაწყისშივე, მთელი მსოფლიოს მასშტაბით აღიარებულ იქნა განათლების როლი და მნიშვნელობა ადამიანური კაპიტალის განვითარებისა და თანამედროვე პროგრესული, ცივილიზებული საზოგადოების ფორმირებაში. „განათლება მოიაზრებს ადამიანის მიერ ცოდნის დაუფლებას და მის საფუძველზე უნარებისა და ჩვევების განვითარებას, კაცობრიობის ამა თუ იმ სფეროში დაგროვილი გამოცდილების მიზანმიმართულ შეთვისებას. განათლების გარეშე ადამიანი ვერ გახდება საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი. განათლება ცოდნის დაუფლებას ნიშნავს, ცოდნის გარეშე კი ადამიანის სამოღვაწეო ასპარეზი ძალზე შეზღუდულია. განათლება განსაზღვრავს ადამიანის სულიერ კულტურას. განათლების გარეშე ადამიანისათვის მიუწვდომელი იქნება საზოგადოების მონაპოვარი მისი განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე, იგი ვერ დააკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნებს, რასაც მოჰყვება სერიოზული პრობლემები ადამიანის ცხოვრებისა და შრომითი მოწყობის პროცესში[2]“.

გლობალიზაციის პროცესი კაცობრიობას სტიმულს აძლევს, ხელახლა იქნას გააზრებული სწავლების, აღზრდისა და განათლების მთელი სისტემის როლი და მნიშვნელობა საზოგადოების განვითარებაში. სწორედ ამიტომ საქართველოში განათლების პრობლემები არა მარტო კონკრეტული დარგის სპეციალისტებისა და შესაბამისი სამთავრობო ორგანოების, არამედ ეკლესიის მსჯელობის საგანიც გახდა. „აუცილებლად უნდა ვიფიქროთ სიღრმისეული ცოდნის შეძენაზე, იმაზე, რომ ცოდნისა და ღრმა აზროვნების გარეშე საქართველო ვერ იარსებებს! მეცნიერება და ტექნიკა დღეს უდიდეს ნაბიჯებს დგამს წინ, თუმცა ზნეობა ჩამორჩა და მისახედია...“.[3] პატრიარქის ქადაგებაში გამოიკვეთა მთელი რიგი ფრაზები და მოწოდებები განათლებისა და ცოდნის შესახებ: „ღრმა ცოდნა გვაკლია“, „უნდა ვიფიქროთ სიღრმისეული ცოდნის შეძენაზე“, „არ არის საკმარისი გვქონდეს ზედაპირული ცოდნა“ და სხვა.

განათლების პირველ საფეხურზე ადამიანი იღებს ზოგად განათლებას, რომელიც პიროვნების განათლებულობის საფუძველია, შემდეგ კი, იგი იძენს სპეციალურ განათლებას. საშუალო სკოლა მოზარდს აძლევს იმ ცოდნას, უვითარებს იმ უნარებსა და ჩვევებს, რომლებიც აუცილებელია ყოველი ადამიანისათვის მისი შემდგომი საქმიანობის პროცესში.

განათლების სისტემის რეფორმირების ამოცანები განისაზღვრება კონკრეტულად ქვეყანაში არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია საზოგადოების ცვალებადობისა და განვითარების დონეზე. შრომის ბაზრის განვითარების კვალობაზე, იცვლება მოთხოვნები პროფესიული კადრებისადმი, რასაც შესაბამისი ცვლილებები მოჰყვება საშუალო, პროფესიულ და უმაღლეს განათლებაში, თუმცა, პროფესიული და უმაღლესი განათლების შეცვლა იწვევს ზოგადი განათლების შეცვლასაც. ეს უკანასკნელი ქმნის უმაღლესი განათლების აუცილებელ საფუძველს და მის გარეშე შეუძლებელია კონკრეტული პროფესიის მქონე პიროვნების მომზადება.

---

[1]**ილია ჭავჭავაძე,** “ისევ განათლების საკითხებზე", პუბლიცისტური წერილები, ტომი 4, თბილისი 2012წ. გვ. 148.

[2]**ქეთევან ჭკუასელი, ივანე ჭკუასელი,** პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი 2012წ. გვ. 12.

[3]სრულიად საქართველოს კათალიკოს–პატრიარქი, მცხეთა–თბილისის მთავარეპისკოპოსი და ცხუმ–აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II–ის საკვირაო ქადაგება. ჟურნალი „საპატრიარქოს უწყებანი“ N37, 737, 30 ოქტომბერი, 5 ნოემბერი 2014 წელი, გვ. 3.

ISSN 1512-1801

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ საზოგადოების განვითარების კვალობაზე შესაბამისად იცვლება და ვითარდება სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები. განათლების სისტემა კი შესაბამისობაში მოდის საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნებთან.

განათლების სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია დაწყებითი განათლების საფეხურს. ამ უკანასკნელის მიზანია საყოველთაო წიგნიერება, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული ინდივინდის მოქალაქედ ჩამოყალიბებასა და მის წარმატებულ საქმიანობას საზოგადოებრივი ურთიერთობის ნებისმიერ სფეროში. წიგნიერება, თანამედროვე გაგებით, გულისხმობს უნარ–ჩვევების ერთობლიობას, რომელიც დაკავშირებულია გაგების, ინტერპრეტაციის, შექმნის, კომუნიკაციის, გამოთვლის, ამა თუ იმ კონტექსტთან დაკავშირებული ნაბეჭდი და წერილობითი მასალის გამოყენებასთან. ანუ იგი უშუალოდ გულისხმობს ისეთ უნარებს, როგორიცაა ზეპირი კომუნიკაცია, წაკითხულის განხილვა და დისკუსია, კრიტიკული აზროვნება, წარმოსახვა და სხვა. იგი გულისხმობს სწავლების პროცესის უწყვეტობასა და ინდივიდის პოტენციალს, მიაღწიოს მიზნებს, გაიღრმაოს ცოდნა, აიმაღლოს შესაძლებლობები და სრულად მოახდინოს საზოგადოებაში ინტეგრირება. გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებულ კვლევის ანგარიშში „წიგნიერება განისაზღვრება როგორც საზოგადოების მიერ ღირებულად მიჩნეული და/ან ინდივიდისათვის ფასეული წერილობითი ენობრივი ფორმების გაგებისა და გამოყენების შესაძლებლობა. პატარა მკითხველებს უნდა შეეძლოთ მრავალფეროვანი ტექსტების შინაარსის გაგება..."[4]

დაწყებითი განათლების სისტემის განვითარება კი, თავის მხრივ, მოითხოვს სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვას და მის ეფექტიანად გამოყენებას დაწყებით კლასებში. აქ კი გადამწყვეტი მნიშვნელობა წერა–კითხვის სწავლების პროცესის გაუმჯობესებას ენიჭება. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია განათლების სისტემის რეფორმირების დღევანდელ ეტაპზე. „სწავლება ცოდნის გადაცემის ორგანიზებული პროცესია. ამ პროცესში მონაწილეობს მასწავლებელი და მოსწავლე. სწავლების ერთიანი პროცესის ხელმძღვანელ ფიგურას მასწავლებელი წარმოადგენს, მაგრამ მოსწავლე როდია პასიური, პირიქით, მასწავლებლის ხელმძღვანელი როლი აუცილებლობით გულისხმობს მოსწავლეთა აქტიურობას, სწავლების ისეთი მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებას, რომლებიც მოსწავლეთა აქტივობას გააძლიერებენ. ამის გარეშე შეუძლებელია წარმატებული სწავლება. სწორედ აქტივობის საშუალებით ხდება მოსწავლეთა ცოდნის შეგნებულად შეთვისება, რაც განათლების მიზანს წარმოადგენს.[5]“

დაწყებით კლასებში სწვლების პირველ ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლემ ადვილად შეძლოს სიტყვის დეკოდირება/ამოცნობა ანუ წაკითხვა. ამავდროულად პრობლემას წარმოადგენს ის, რომ შემდეგ ეტაპზე მოსწავლეების გარკვეული ნაწილი, გაბმული კითხვის უნარის ჩამოყალიბების მიუხედავად, ვერ ახდენს წაკითხულის გააზრებას, ანალიზს. დაწყებით საფეხურზე სწავლის მიზანია: ძირითადი საკომუნიკაციო უნარების (მოსმენა, საუბარი, კითხვა, წერა) განვითარება; მიზნობროვად და შინაარსობრივად მრავალფეროვანი ტექსტების (მოთხრობა, ლექსი, არგუმენტირებული ესეი, ინსტრუქცია და ა.შ.) წაკითხვისა და გააზრების უნარის ჩამოყალიბება; ამ პრობლემის გადაჭრაზე ზრუნვა აუცილებელია დაიწყოს სწავლების პირველსავე ეტაპზე, რაშიც გარკვეული დახმარების გაწევა შეუძლია ჩვენ მიერ წარმოდგენილ სქემებს.

საყურადღებოა, მოსწავლეთა წიგნიერების დონის საერთაშორისო კვლევა PIRLS-ის შედეგები, რომლის მიზანი იყო დაწყებითი კლასების მოსწავლეთა წიგნიერების, წაკითხულის გაგებისა და ანალიზის დონის შესწავლა. შედეგები სავალალოა, ქართველმა მოსწავლეებმა ბოლოდან მეცხრე ადგილი დაიკავეს 45 ქვეყანას შორის. კვლევაში მონაწილეობდნენ 8-9 წლის

[4] გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევის ანგარიში. www.naec.ge

[5] **ქეთევან ჭკუასელი, ივანე ჭკუასელი,** პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი 2012წ. გვ. 17-18

ISSN 1512-1801

მოზარდები, რომლებსაც გაუჭირდათ მათი ასაკის შესამაბისი ტექსტის სიღრმისეული წვდომა და ანალიზი.

დაწყებით კლასებში გააზრებული კითხვის სწავლებას უდიდესი როლი ენიჭება მოსწავლის შემდგომი განვითარებისთვის, გააზრებული კითხვა დაეხმარება მას სწავლების შემდგომ საფეხურებზე გაუადვილდეს სხვადასხვა დისციპლინების აღქმა-გაგება-გააზრება. სწორედ ამიტომ იყო, რომ თავის საკვირაო ქადაგებაში უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II–მ ბავშვებისა და მოზარდების ანალიტიკური აზროვნების უნარის განვითარების აუცილებლობას დაუთმო და აღნიშნა: „ვფიქრობ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ანალიტიკურ აზროვნებას. ბავშვს უნდა შევასწავლოთ ანალიზი, რათა შეძლოს თავისი საქმის, ნაბიჯების, მშობლების, მეგობრების, სახელმწიფოს მიმართ დამოკიდებულების გააზრება. ჩემი აზრით, სკოლებში უნდა ვასწავლიდეთ ანალიტიკურ აზროვნებას, როგორც ცალკე საგანს, I კლასიდან XII კლასამდე. თუ მოვლენების სწორად აღქმას ისწავლის ადამიანი, მას ცხოვრება გაუადვილდება. იგი თავიდან აიცილებს მრავალ განსაცდელს“.[6]

ჩვენს მიერ წარმოდგენილი მეთოდების და სტრატეგიების მიზნები და ამოცანებია დაწყებით კლასებში განუვითაროს მოსწავლეს კითხვის ტექნიკა, გააქტიუროს და გაამდიდროს მისი ლექსიკა, ჩამოუყალიბოს ტექსტის გააზრებულად კითხვის უნარი, ხელი შეუწყოს აზრის ზეპირად და წერილობით გადმოცემის უნარის განვითარებას. ამ მეთოდების და სტრატეგიების გამოყენებისას მასწავლებელმა მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე უნდა შეარჩიოს მოსწავლეთა ინდივიდუალური, ჯგუფური თუ საერთო საკლასო ორგანიზების ფორმა.

განვიხილოთ რამდენიმე სტრატეგია:

1. **სიტყვის და ცნების რუკა;**

„სიტყვის რუკა“ და „ცნების რუკა“ ეფექტური სტრატეგიებია კითხვის სწავლების პირველ ეტაპზე. ეს სტრატეგიები ხელს უწყობენ ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, წაკითხულის გაგება-გააზრებას და წერის უნარის განვითარებას. „სიტყვის რუკის“ სქემა შედგება 4 ნაწილისგან: თვითონ სიტყვის დასახელება, ამ სიტყვის განმარტება მოსწავლის მიერ, ამ სიტყვის განმარტება ლექსიკონიდან და ნახატი. როგორც ვიცით 6-7 წლის მოსწავლეებს უჭირთ აბსტრაქტული აზროვნება, ამიტომ სიტყვის ვიზუალიზაცია თავისივე შესრულებული ნახატით მათ გაუადვილებს სიტყვის აღქმას. ამ სქემის გამოყენება რეკომენდირებულია I და II კლასებში.

სიტყვა	განმარტება ლექსიკონიდან
სიტყვის განმარტება მოსწავლის მიერ	ნახატი

სქემა „ცნების რუკა“ ეხმარება მოსწავლეს გაიაზროს ინფორმაცია და დააჯგუფოს ცნების მახასიათებლები. ცენტრალურ ოვალში იწერება ცნება,რომლის გარშემო მოსწავლეები აგებენ „ცნების რუკას“. მეორე ოვალის გასწვრივ იწერება ის მიზეზები, რომლის ნაწილი შეიძლება მოცემული იყოს ტექსტში, ნაწილი კი მოსწავლეებმა დაასახელონ და გაუზიარინ ერთმანეთს, ჯერ წყვილებში, შემდეგ მთელ კლასში. მესამე ოვალის - სიმპტომების გასწვრივ იწერება ცნების მახასიათებლები, მოსწავლეები მუშაობენ ჯერ წყვილებში და შემდეგ მსურველები თავის მოსაზრებას უზიარებენ მთელ კლასს. მეოთხე ოვალში კი მოსწავლეების მსჯელობის შედეგად იწერება პრობლების გადაჭრის გზები. მოცემული მეთოდები გამოიყენება როგორც ნარიტული, ასევე ინფორმაციული და ინსტრუქციული ტექსტების გაგებისა და გაანალიზებისთვის.

[6]სრულიად საქართველოს კათალიკოს–პატრიარქი, მცხეთა–თბილისის მთავარეპისკოპოსი და ცხუმ–აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II–ის საკვირაო ქადაგება. ჟურნალი „საპატრიარქოს უწყებანი“ N37, 737, 30 ოქტომბერი, 5 ნოემბერი 2014 წელი, გვ. 3.

ISSN 1512-1801



ამ სქემის გამოყენება რეკომენდირებულია როგორც დაწყებით, ისე საბაზო საფეხურზე სხვადასხვა საგნების: ბუნებისმეტყველების, ისტორიის, გეოგრაფიის შესწავლისას.

2.**გმირის და ამბის რუკა.**

„გმირის რუკა“ და „ამბის რუკა“ ეფექტური მეთოდებია თხრობითი ხასიათის ტექსტის გაგებისა და ანალიზისთვის. გმირის რუკის შედგენისას მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს, ავსებენ სქემის გრაფებს. ასახელებენ რომელიმე პერსონაჟს, მსჯელობენ თუ რას ფიქრობს, მოქმედებს, გრძნობს მოთხრობის გმირი, რა შედეგი მოჰყვება მის ქმედებას, გამოთქვამენ საკუთარ ვარაუდებს. მოსწავლეები დაახასიათებენ და შეაფასებენ გმირის საქციელს ტექსტის შინაარსზე დაყრდნობით.

გმირის რუკა
მოქმედი გმირი_____
ფიქრობს_____
აკეთებს_____
ამბობს_____
გრძნობს_____
გმირის მიზანი_____
მოქმედები შედეგი_____

„ამბის რუკა“ კარგი საშუალებაა მოთხრობის ეფექტური აღქმისა და ანალიზისთვის. სქემის შევსება შეიძლება როგორც კითხვის პროცესში, ასევე ტექსტის ბოლომდე წაკითხვის შემდეგ. მოსწავლეები გამოყოფენ პერსონაჟებს, გარემოებებს, მოვლენათა თანმიმდევრობას. ამ მეთოდის გამოყენებისას მოსწავლეები გამოიტანენ დასკვნებს ტექსტის კითხვის დროს და მიუთითებენ შესაბამის დასაბუთებას ტექსტში, მოახდენენ მოვლენათა თანმიმდევრობის განსაზღვრას და შეჯამებას.

ამბის რუკა
სათაური:_____
პერსონაჟები_____
გარემოებები_____
პრობლემა:_____

ISSN 1512-1801

მოვლენა 1:_____
მოვლენა 2:_____
მოვლენა 3:_____
შეჯამება:_____

წარმოდგენილი რუკების გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა სახეცვლილებებითაც, წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე. რეკომენდირებულია პირველ ეტაპზე გამარტივებული სქემის შეთავაზება, შემდეგ კი მისი თანდათანობით გართულება.

წარმოდგენილი მეთოდები -სიტყვის, ცნების, გმირის და ამბის რუკები, საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, სკოლაში კითხვისა და წერის სწავლებისას კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ითვალისწინებს. ამგვარი ამოცანებია:

- „კალიგრაფიული კულტურის გამომუშავება;
- ლექსიკური მარაგის შევსება-გამდიდრება;
- ტექსტებთან შემოქმედებითი (თავისუფალი) დამოკიდებულების გამომუშავება;
- საგანმანათლებლო მიზნით სხვადასხვა რესურსით (ლექსიკონები, ბიბლიოთეკა, ინტერნეტი და სხვა) სარგებლობა;
- სხვადასხვა სახის, სტილისა და ჟანრის ტექსტების ანალიზისა და შექმნის უნარის გამომუშავება;[7]“

იმისთვის, რომ მოსწავლემ დაწყებით საფეხურზე შეძლოს გააზრებული წერა-კითხვა, საჭიროა მიზანმიმართული, მრავალფეროვანი და მრავალმხრივი აქტივოვები, ეს აქტივობები მოითხოვს, როგორც მოსწავლის აქტიურ და გააზრებულ ჩართულობას, ისე მასწავლებლის მიერ სწავლა-სწავლების ეფექტური და თანამედროვე მეთოდების გამოყენებას. „არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ წარიმართება მისი განათლება და სწავლება, კერძოდ, როგორი ღირებულების მეცნიერული ცოდნა იქნება შერჩეული მოზარდის განათლების პროცესში და სწავლების როგორი მეთოდები და ტექნოლოგიები იქნება გამოყენებული, ვინაიდან სწორედ განათლებასა და სწავლებაზეა დამოკიდებული ადამიანის პოტენციალში არსებული ზოგადი უნარების განვითარება და მსოფლმხედველობის ფორმირება.[8]“

ვფიქრობთ ჩვენს მიერ წარმოდგენილი სტრატეგიების განხორციელების შედეგად მოსწავლეებს გაუადვილდებათ სხვადასხვა ტიპის ტექსტების შინაარსის გაგება-გააზრება, ტექსტში ძირითადისა და მეორეხარისხოვანის გარჩევა და მათთვის ნაცნობ თემებზე სხვადასხვა ხასიათის ტექსტების გამართულად წერა-კითხვა. შესაბამისად კი განუვითარდებათ ინფორმაციის ადეკვატურად აღქმისა და დამუშავების, ლოგიკურ მსჯელობის, მოვლენათა შორის არსებითი მიმართებების წვდომის უნარი, ეს კი ცხოვრებისეულ მოთხოვნებზე რეაგირების ანუ გარემოსთან ადაპტაციის საფუძველია.

[7] **პ.პაპავა, თჭანტურია,** წიგნიერება.2013წ

[8]**ქეთევან ჭკუასელი, ივანე ჭკუასელი,** პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი 2012წ. გვ. 21

ISSN 1512-1801

<u>გამოყენებული ლიტერატურა:</u>

1. ილია II. სრულიად საქართველოს კათალიკოს–პატრიარქი, მცხეთა–თბილისის მთავარეპისკოპოსი და ცხუმ–აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი საკვირაო ქადაგება. ჟურნალი „საპატრიარქოს უწყებანი“ N37, 737, 30 ოქტომბერი, 5 ნოემბერი 2014 წელი.
2. ილია ჭავჭავაძე, “ისევ განათლების საკითხებზე", პუბლიცისტური წერილები, ტომი 4, თბილისი 2012წ. გვ. 148.
3. ქეთევან ჭკუასელი, ივანე ჭკუასელი, პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი 2012წ.
4. პაატა პაპავა,თამარ,ჭანტურია. წიგნიერება. თბილისი: სამოქალაქო განვითარების სააგენტო, 2012.
5. მანანა მაისურაძე,. ტრენინგის მასალები. 2007.
6. გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევის ანგარიში. www.naec.ge

Article received: 2015-06-01